სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური

ბრძანება

MES 4 23 0000000572

17/07/2023

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ" სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის უფროსის 2019 წლის 28 ივნისის N79 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ” საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 12 ივლისის N141/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „პ“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. „საჯარო სამართლის იურიდიული პირის საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის უფროსის 2019 წლის 28 ივნისის N79 ბრძანებით დამტკიცებულ დანართში შეტანილ იქნეს შემდეგი სახის ცვლილება:

ა) მე-17 მუხლის მე-7 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„7. სამსახურებრივი მივლინებისას, მივლენილი პირი ვალდებულია მივლინების დასრულებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში საქმისწარმოების ელექტრონული პროგრამის მეშვეობით სამსახურის უფროსს წარუდგინოს სამსახურებრივი მივლინების თაობაზე ანგარიში მოხსენებითი ბარათის სახით.”;

ბ) 38-ე მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,4. სამსახურში შემოსულ განცხადებაზე/საჩივარზე მიღებული პასუხი შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში და/ან დადგენილი წესით სასამართლოში.“;

გ) მე-40 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,2. რეორგანიზაცია არის სამსახურის ინსტიტუციური მოწყობის შეცვლა, რის შედეგადაც მიიღება სამსახურის ნაწილობრივ ან მთლიანად ახალი სტრუქტურა. რეორგანიზაციად ითვლება აგრეთვე სამსახურის შტატების გადაადგილება ან/და შემცირება. რეორგანიზაციად

არ ჩაითვლება სამსახურის ან მისი სტრუქტურული ერთეულის მხოლოდ დაქვემდებარების ან სახელწოდების შეცვლა ან/და სამსახურის სტრუქტურული ერთეულისათვის ახალი ფუნქციის დაკისრება, ასევე სამსახურის ვაკანტური შტატების გადაადგილება ან/და შემცირება. სამსახურის რეორგანიზაციის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სამსახურის უფროსი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრთან შეთანხმებით.“.

2. ბრძანება ძალაშია 2023 წლის 18 ივლისიდან.

3. ბრძანება გაეგზავნოს სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის უფროსის მოადგილეებსა და ყველა სტრუქტურულ ერთეულს.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64).

სსიპ მანდატურის სამსახური
სამსახურის უფროსი
აბულაშვილი სოფიო